ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრი
ნაშრომების მიღება ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციისათვის

"ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები -2023"
30 ივნისი, 2023

კონფერენციის შესახებ
2019-2023 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის კოორდინაციით, ხორციელდება ერაზმუს+ პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ (Curriculum Innovation for Social Inclusion (CISI)) 609736 – EPP – 1-2019-GE-EPPKA2-CBHE-JP (2019- 1938/ 001-001), გრანტი #1937) . დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ იხელეთ : http://cisi.tsu.ge/

პროექტის ფარგლებში, კონსორციუმის ქართველი პარტნიორების მიერ საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ ეროვნულ კონფერენციას, რომელიც გააშუქებს საქართველოში მიმდინარე ინკლუზიური განათლების მიღწევებსა და გამოწვევებს განათლების სხვადასხვა საფეხურზე. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც ქართულ აკადემიურ სფეროს წარმოუდგენს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის შედეგებს. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ეროვნული კონფერენცია საშუალებას მისცემს პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს - მკვლევრებს, მასწავლებლებს, დამსაქმებლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის, არაასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს იმსჯელეონ ინკლუზიური განათლების აქტუალურ საკითხებზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომით, ხელი შეუწყონ ინლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ზოგადად, ინკლუზიური საზოგადოების განვითარებას.

საკონფერენციო თემები:

- თანამედროვე მიდგომები განათლების სისტემაში: UDL - სწავლის უნივერსალური დიზაინი და RTI-ინტერვენციაზე პასუხის მოდელი;
- მოსწავლეთა / სტუდენტთა მხარდამჭერი გუნდები და მომსახურებები;
- სოციალური და ემოციური კეთილდღეობის როლი ეფექტურ სწავლებაში;
- სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხვა და ტრანზიცია;
- ინკლუზიური განათლების დანერგვა უმაღლეს სასწავლებლებში;
- ინკლუზიური სამუშაო ადგილი;
- ინკლუზიური საზოგადოება;

სამუშაო ენა

ქართული

კონფერენციის ადგილი

თსუ - I კორპუსი, აუდიტორია 107.
ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი-0179, საქართველო.

კონფერენცია ჩატარდება ჰიბრიდულად - მათ, ვინც ფიზიკურად ვერ ახერხებს დასწრებას, შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ ონლაინ.

პუბლიკაცია

<u>კონფერენციაზე წარმოდგენილი აბსტრაქტების კრებული ინტეგრირებული იქნება „გუგლ სქოლარის“ საძიებო სისტემაში; ხოლო თსუ-ს თანამშრომლების აბსტრაქტები „გუგლ სქოლარის“ საძიებო სისტემაში ასევე ინდივიდუალურად იქნება ატვირთული.</u>

აბსტრაქტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

შრიფტი: Sylfaen, შრიფტის ზომა: 10, სტრიქონთაშორისი ინტერვალი: 1, სიტყვების რაოდენობა: მაქსიმუმ 350 სიტყვა. შინაარსი უნდა ფარავდეს საკითხის აქტუალობას, გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და ძირითად მიგნებებს.

აბსტრაქტი უნდა იწყებოდეს ავტორის შესახებ შემდეგი ინფორმაციით:
სახელი, გვარი:
წოდება:
თანამდებობა:
ფაკულტეტი/დეპარტამენტი/ინსტიტუტი/კათედრა/:
უნივერსიტეტი/ორგნიზაცია:

საკვანძო სიტყვები: მაქსიმუმ 5

აბსტრაქტი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც **Word-ის,** ისე **PDF**-ის ფორმატით, **ქართულ** და **ინგლისურ** ენებზე.

აბსტრაქტების წარდგენის ბოლო ვადა: <u>**20.06.2023**</u>

აბსტრაქტები გამოგზავნეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **nationalconference.inclusion@tsu.ge**